




გიენ-ბარეს სინდრომი (მწვავე ანთებითი პოლინეიროპათია) (GBS) და ქრონიკული ანთებითი დემიელინოზირებადი პოლინეიროპათია (CIDP)

GBS, CIDP და ამ დაავადებათა ვარიანტების მქონე პაციენტების მომსახურება, მხარდაჭერა, განათლება და კვლევა

გიენ-ბარეს სინდრომი ----- * ----- მწვავე ანთებითი პოლინეიროპათია

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ GBS/CIDP-ს საერთაშორისო ფონდს: GBS/CIDP Foundation International The Holly Building 104 1/2 Forrest Avenue Narberth, PA 19072 ტელ.: (610) 667-0131 ფაქსი: (610) 667-7036 www.gbsfi.com; ელ. ფოსტა: info@gsbfi.com



გიენ-ბარეს სინდრომი · ქრონიკული ანთებითი დემიელინოზირებადი პოლინეიროპათია

International Office The Holly Building 104 1/2 Forrest Avenue Narberth, PA 19072

საპატიო კოლეგია

რეიჩელ ჩაგალი* მარჯორი ჰ. დაუნი* ნენდი გრიფითი* ჯოსეფ ჰელერი**

რწმუნებულთა საბჭო

უილიამ ტ. გაფნი ბარბარა ჰოფმანი* რონალდ ბ. კრემნიცერი* ვანე დ. მიტჩელი* მერლინ ბ. ტედესკო ს. ვოლტერ ნიკოლს III*

აღმასრულებელი/ასოცირებული დირექტორები

ესტელა ლ. ბენსონი / ბარბარა კაცმანი

თანამდებობის პირები

სარა ვურჰის ჰესელი,* პრეზიდენტი ჯოელ ს. სტაინბერგი, მედიცინის დოქტორი, მეცნიერებათა დოქტორი,* ვიცე-პრეზიდენტი სიუ დ. ბაიერი,* მდივანი ჰენრი ფრიდმანი,* ხაზინადარი

დირექტორთა საბჭო

სიუ დ. ბაიერი* რობერტ ბენსონი, დიპლომირებული მზღვეველი და დიპლომირებული ფინანსური კონსულტანტი* პატრიცია ჰ. ბლომკვისტი-მარკენსი* ტელმა გიფორდი, დიპლომირებული მედლა* სუზან კისტი* ჰარიეტა ლიონი კიმ კოპლინგერი* ჯარიეტა ლიონი რალფ გ. ნეასი, ესკაირი* გლენის სანდერსი* სარა ვურის ჰესელი* ლაურა ე. სტეფოსი, ესკაირი ჯონ ფ. შილკე, მედიცინის დოქტორი* ჯოელ ს. სტეინბერგი, მედიცინის დოქტორი, მეცნიერებათა დოქტორი*

სამედიცინო საკონსულტაციო საბჭო

ბარი გ. ვ. არნასონი, მედიცინის დოქტორი არტურ კ. ასბური, მედიცინის დოქტორი რიჩარდ ჯ. ბარონი, მედიცინის დოქტორი მარკ ჯ. ბრაუნი, მედიცინის დოქტორი კოპელ ბურკი, მედიცინის დოქტორი* დევიდ კორნბლათი, მედიცინის დოქტორი ჯინატან გოლდშტეინი, მედიცინის დოქტორი კენტუტ კ. გორსონი, მედიცინის დოქტორი მაიკლ გ. გრეივისი, მედიცინის დოქტორი ჯონ ვ. გრიფინი, მედიცინის დოქტორი ანჟელიკა ფ. ჰანი, მედიცინის დოქტორი ჰანს-პიტერ ჰარტუნგი, მედიცინის დოქტორი თომას ლ. ჰეჯი უმცროსი, მედიცინის დოქტორი* პროფ. რ.ა.კ. ჰიუესი ჯონატან ს. კაცი, მედიცინის დოქტორი კაროლ ლი კოსკი, მედიცინის დოქტორი რიჩარდ ა. ლევისი, მედიცინის დოქტორი რობერტ ლიზაკი, მედიცინის დოქტორი რობერტ გ. მილერი, მედიცინის დოქტორი გარეტ ჯ. პერი, მედიცინის დოქტორი ალან ჰ. როპერო, მედიცინის დოქტორი ჯონ ტ. სლადკი, მედიცინის დოქტორი ჯოელ ს. სტეინბერგი, მედიცინის დოქტორი, მეცნიერებათა დოქტორი* პიტერ ა. ვან-დუმი, მედიცინის დოქტორი პროფ. ჰიუ ჯ. ვილსონი, მეცნიერებათა დოქტორი

* ყოფილი პაციენტები, რომელთაც ჰქონდათ GBS ან CIDP

რა არის GBS?

გიენ-ბარეს (Guillain-Barré) სინდრომი, რომელსაც სხვაგვარად მწვავე იდიოპათიურ პოლინევრიტს ან ლენდრის (Landry) პროგრესირებად დამბლას უწოდებენ, არის თავისა და ზურგის ტვინის გარეთ მყოფი პერიფერული ნევრული სისტემის ანთებითი დაავადება. მას ახასიათებს სისუსტის სწრაფი განვითარება, ხშირად კი ფეხების, ხელების, სასუნთქი გზების კუნთების და სახის პარალიზი. სისუსტეს ხშირად სდევს თან უჩვეულო შეგრძნებები.

დაავადების საწყის სტადიაზე მრავალ პაციენტს სჭირდება ინტენსიური სამკურნალო საშუალებები, განსაკუთრებით როდესაც საჭიროა სუნთქვის დამხმარე აპარატის გამოყენება. თუმცა დაავადებულთა უმეტესობა ინკურნება, გამოჯანმრთელებას შეიძლება თვეები დასჭირდეს, ზოგიერთი ავადმყოფი კი ხანგრძლივი დროით რჩება ინვალიდი, სხვადასხვა დონის სირთულით. პაციენტთა 5 პროცენტზე ნაკლები კვდება. GBS შეიძლება განუვითარდეს ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ ასაკში, განურჩევლად სქესისა და ეთნიკური წარმოშობისა.

როგორ ხდება GBS-ის დიაგნოზირება?

საკმაოდ ხშირად, დიაგნოზის დასასმელად საკმარისია პაციენტის სიმპტომების გათვალისწინება და მისი ფიზიკური შემოწმება. ამ დაავადების ტიპიურ სურათს წარმოადგენს (პროგრესირებადი) სისუსტის სწრაფი გამოვლენა, რასაც ხშირად თან სდევს უჩვეულო შეგრძნებები, რომლებიც სხეულის ორივე მხარეს ერთნაირად შეინიშნება. ჩვეულებრივ, აღინიშნება ისეთი რეფლექსების დაქვეითება, მაგ., როგორცაა მუხლის რეფლექსი. დიაგნოზის დასაზუსტებლად შეიძლება ჩატარდეს ლუმბარული პუნქცია ცილების დონის დასადგენად და ელექტრული ტესტები, ნერვისა და კუნთის ფუნქციის შესამოწმებლად.

როგორ მკურნალობენ GBS-ს?

იმის გამო, რომ ადრეულ სტადიაზე დაავადების განვითარების პროგნოზირება შეუძლებელია, ახლადდიაგნოზირებული პაციენტების უმეტესობას საავადმყოფოში გზავნიან და, როგორც წესი, ათავსებენ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, სადაც აკვირდებიან სუნთქვას და ორგანიზმის სხვა ფუნქციებს.

მკურნალობის დროს იყენებენ პარალიზებულ პაციენტებისთვის არსებულ ცნობილ დამხმარე მეთოდებს, ისევე როგორც სპეციალურად შემუშავებულ მეთოდებს, რომელთა მიზანია გამოჯანმრთელების პროცესის დაჩქარება, განსაკუთრებით პწვავე პრობლემების მქონე პაციენტებში, მაგ., მათთვის, ვინც ვერ დადის. პლაზმის გამოცვლის (სისხლის "გაწმენდის") პროცედურა და იმუნური გლობულინების მაღალი დოზის ინტრავენურად შეყვანა ხშირად უწყობს ხელს GBS-ს სამკურნალო კურსის ხანგრძლივობის შემცირებას.

ჰოსპიტალიზაციის ადრეული პერიოდის შემდეგ, როდესაც აღინიშნება მდგომარეობის სტაბილურობა, პაციენტების უმეტესობა გადის სარეაბილიტაციო პროგრამას, ნერვის გამტარობის აღსადგენად და კუნთების გასამლიერებლად.

რა იწვევს GBS-ს?

GBS-ს გამომწვევი მიზეზი უცნობია. სავარაუდოდ, შემთხვევების 50% ვითარდება უშუალოდ ვირუსული ან ბაქტერიული ინფექციების შემდეგ, როგორცაა ფარინგიტი ან დიარეა. მრავალი შემთხვევა დაფიქსირდა იმ ადამიანებში, რომლებიც 1976 წელს აგრეს ღორის გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინით. თანამედროვე თეორიები გვთავაზობს ავტოიმუნური მექანიზმის არსებობას, რომლის მიხედვითაც პაციენტის დამცავი ანტისხეულების სისტემა და სისხლის თეთრი უჯრედები ისე იბრძვის, რომ აზიანებს ნერვული უჯრედის დამცავ ფენას ან ოზოლაციას, რაც იწვევს სისუსტესა და უჩვეულო შეგრძნებებს.

GBS/CIDP ფონდი

ფონდი დაარსდა 1980 წელს, რობერტ და ესტელა ბენსონების მიერ, იმ პაციენტების დასახმარებლად, რომელთაც აქვთ ეს საშიში და პოტენციურად კატასტროფული დაავადება, რომლისგან განკურნების პროგნოზირება შეუძლებელია. ფონდს 160-ზე მეტი დამხმარე ჯგუფი ჰყავს შეერთებულ შტატებში, კანადაში, ევროპაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკასა და ახალ ზელანდიაში. ორგანიზაციის მიზანია დაეხმაროს GBS-თი დაავადებულ პაციენტებსა და მათ ოჯახებს. ფონდი მოხარულია გაცნობოთ, რომ მის სამედიცინო საკონსულტაციო საბჭოში იმყოფება მსოფლიოს წამყვანი ექსპერტები GBS-ის სპეციალობით, ისევე როგორც ექიმები, რომლებმაც, როგორც პაციენტებმა, თავიანთ თავზე გამოსცადეს ეს დაავადება.

საჭიროა დახმარება?

თუ გაწუხებთ GBS, ან იცნობთ ამ დაავადების მქონე პიროვნებას, რომელსაც დახმარება ან ინფორმაცია სჭირდება, დაუკავშირდით ფონდს. თუ გსურთ შექმნათ ადგილობრივი დამხმარე ჯგუფი, ან მიიღოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი ადგილობრივი ექიმი ერკვევა GBS-თან დაკავშირებულ საკითხებში, მოგვმართეთ ჩვენ. თუ პროფესიონალი ექიმი ხართ და გსურთ თქვენს პაციენტებს მიაწოდოთ ლიტერატურა ან გაუწიოთ მორალური მხარდაჭერა, ყოველთვის შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ. ჩვენ მუდამ მზად ვართ თქვენს დასახმარებლად.

შესაძლო მომსახურებები:

- გამოჯანმრთელებული ადამიანების ვიზიტი პაციენტებთან
- ყოვლისმომცველი საინფორმაციო ბუკლეტი "GBS, პოპულარული საინფორმაციო მიმოხილვა"
- პლაკატებისა და განცხადებების უზრუნველყოფის სერვისი
- პაციენტების დახმარება ადგილობრივი ჯგუფების მიერ
- მსოფლიოში არსებული ჯგუფების ჩამონათვალი
- ექიმთა სია, რომლებმაც თავიანთ თავზე გამოსცადეს GBS
- საცნობარო ბიულეტენები
- კვლევითი სამუშაოების დაფინანსება
- საერთაშორისო საგანმანათლებლო სიმპოზიუმები სამედიცინო წრეებისა და ფართო საზოგადოებისთვის
- CIDP-ს შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია
- ჩვენი ვებგვერდის დათვალიერება

დამატებითი ინფორმაციისთვის

მიწერეთ: GBS/CIDP Foundation International, The Holly Building, 104 1/2 Forrest Avenue, Narberth, PA 19072

ან დარეკეთ: (610) 667-0131 ფაქსი: (610) 667-7036 www.gbsfi.com ელ. ფოსტა: info@gbsfi.com

თქვენს მიერ გადმორიცხული დაუბეგრავი შემოწირულობა საშუალებას მოგვცემს დახმარება გაუწიოთ მათ, ვინც ყველაზე მეტად დააფასებს თქვენს თანადგომას. არამომგებიანი 501(c)(3) ორგანიზაცია